

# შინაური საქმეები.

შოველ-კვირული გაზეთი

№ 34.

შანი ერთი შაური

წლიური შანი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

კვირა, 23 სექტემბერი 1912 წელი

ყოველ-კვირული გაზეთი

## შინაური საქმეებზე

სხლის მარჯვენა მიიღება (რე-  
დაქციაში, ქ. ქუთაისში სა-  
ბურთალო—კაზაკების შე-  
სახეში № 17). და თბილისში გამოდგომულან სომხის პამაწში, სომხანანის მუშის  
მალაზიაში. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

### გაზეთის ფასი:

წლიური ფასი:	4 მანეთი.	წლიური ფასი:	2 მანეთი.
წახ. წლიური:	2 მანეთი.	სამი თვე:	1 მანეთი.
		ერთი თვე:	2 აბაზი.

### ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულს შემოტანა წლიურ ხელის მოწოდების შემთხვევაში და განაწილდეს: თაიდან 2 მ., და 1 ოენის 2 მ.  
განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტრიტი სტრიონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.  
ადრესი: ქუთაისი: „შანაურა საქმეებს“ რედქცია.

- შინაურნი: 1. გზა ქრისტესი—მღვ. იოანე ლუკიანოვისა; 2. სიტყვა, თქმული ახალ საყდრის კურთხევაზე—მღვ. ქ. კეკელაძისა; 3. კრიტიკა ეკატერინე გაბაშვილისა—ხომ-  
ლელისა; 4. ჩვენი შკაფი; 5. ხმა ოლასკურიდამ—გამომღე-  
ლისა; 6. პასუხად ბ. მოწაფეს—მასწ. იონა გაბეხაძისა; 7. კვირიდამ-კვირამდე; 8. მოგონებანი ვაბრიელ ეპი-  
სკოპოსის ცხოვრებიდან—მღვ. ვ. მაქარაშვილისა; 9. ლოთობა მღ. კ. ანთაძისა; 10. ხმა სოფლიდან—Z-სა;  
11. მოწერილი ამბავი—მღვდელმონაზონი გიორგისა.

## გზა ქრისტესი

III

მიზანი ღვთის განხორციელებისა. 1)

სუსტი და ცოდვილი კაცობრიობის და-  
ტოვება ცოლილებათა სიბნელეში, არ გაწო-  
დება მისდამი შემწეობის ხელისა, იქნებოდა  
შეუფერებელი ღვთის სახიერების უფსკრულ-  
თან... და, მართლაც, უფალმა ამოარჩია საუც-  
ხოვო საშუალება ყველა ადამიანთა ცხოვრები-  
სა,—საშუალება, სრულიად ღირსი მისი გა-  
ნუსაზღვრელი სიყვარულისა და გამოუთქმელი  
სიღიადისა!.. ეს ღვთაებრივ-მაცხოვრებელი სა-  
შუალება მდგომარეობდა ღვთიერ-განხორციე-  
ლებაში, მოსელაში მხოლოდ შობილისა ძისა  
ღვთისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი,  
ცოდვილ დედამიწაზე...

ჯერ კიდევ ოსია წინასწარმეტყველი ძველ  
1) იხ. „შინ-საქმ.“ № 28—29.

აღთქმაში წინასწამერტყველებრივ წინათ ხედავდა ამ სიყვარულით შეერთებას უწმიდესი ღვთისა — დაცემულ და ცოდვის მოყვარულ კაცობრიობასთან, იმ მიზნით, რომ კაცობრიობა ღვთის სიყვარულით და სიწმიდით წარმოშობილიყო ახალ ცხოვრებაში.

„დასაბამი სიტყვათა უფლისათა ოსეს მიმართ; და რქვა უფალმან ოსეს: წარვედ და შოიყვანე თავისა შენისა დედაკაცი სიძვისა, და შეიღნი მისნი სიძვისანი, რამეთუ სიძვით ისიძვიდეს ქვეყანასა, უკანათგან უფლისა“ (ოსიასი, 1, 2).

ეს საიდუმლოებრივ-სიყვარულითი შეერთება აღთქვამდა ახალ ხანას მთელი ქვეყნის ცხოვრებისას, სახელდობრ, ახალი აღთქმის ხანას აღმოცენებული შეიღობისას ღვთისადმი...

„და იყოს რიცხვი ძეთა ისრაელისათა ვითარცა ქვიშა, რომელი არა აღიწყოს და არცა აღირაცხოს; და იქ, სადაც ეუბნებოდნენ იმათ: თქვენ ჩემი ხალხი არა ხართ, ეტყვიან იმათ: თქვენ შეიღები ხართ ღვთისა ცხოველისა“ (ოსესი 1, 10).

შედევად ღვთის-განხორციელებისა იქმნება შექმნა დედამიწაზე ღვთის სიყვარულისა და მადლის საშეფოსი, ეკლესიის სახით ცხოვნებულთა ღვთის მოსავთა.

„და იყოს მას დღესა შინა, იტყვის უფალი, შენ მხადო მე: ქმარი ჩემი, და არღარა მხადო მეტად: ბატონი ჩემი... მოგიბოვო შენ თავისა ჩემისა საუკუნოდ; და მოგიბოვო შენ თავისა ჩემისა სიმაართლით, და განკითხვით და წყალობით, და მოგიბოვო შენ თავისა ჩემისა სარწმუნოებით, და იცნა შენ უფალი, და დაუთესო შენ თავისა ჩემისათვის ქვეყანასა და შევიწყალიო არა შეწყალებული იგი. და ვრქვა არა ვრსა ჩემსა (უველა წარმართთა): ვრი ჩემი ხარ შენ; და მან მრქვას: უფალი ღმერთი ჩემი ხარი შენ“ (ოსიასი, 2, 16, 23).

ქრისტე მაცხოვარი, მოვიდარა ქვეყნად გაიმეორა აღთქმა ღვთისა მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე-შემდგვი სიტყვებით: „და სხვა-ნიცა-ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან

ამის ეზოსაგანნი; იგინიცა ჯერ არიან მოყვანებად ჩემდა; და ხმისა ჩემისა ისმინონ, და იყვენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (იოან. 10, 16).

უფალი დიდხანს არ მიდიოდა ქვეყნად... იმას უნდოდა, რომ ადამიანებს **სრულიად** გამოეცადა თავისი ძალები და საშუალებანი, და **გამოცდილებით** გაეგოთ თავიანთ საბრალლო უძღურება და უმწეობა ცხოვრებისა, დაშორებულისა ღვთისაგან და მისი წმინდანებისაგან.. მაცხოვრის მოსვლის ხანებში — სქელი ნისლი ცოდვისა, ბოროტებისა, ველურ ცდომილებათა და ღრმა სასოწარკვეთილებისა — მოდებული იყო მთელ ქვეყნად... არსად და არაფერში არ მოსჩანდა ხსნა... ყველა იტანჯებოდა აუხსნელი იქვეულობით. უმაღლეს სიკეთედ იყო მიჩნეული ამპარტავნული შეურაცხება სიკოცხლისა (სტოიკებს), ან სრული გულგრილობა მისდამი (ნირვანა). ცხოვრება, როგორც კეთროვანება, სწავდა და აღრჩობდა თავისი სისასტიკით, ბოროტებით, სიძულვილით, — და წარმოადგენდა თანაბრივ გამოსახვას ბოროტებისას და უსამართლოებასას... ცხადათ სჩანდა, როგორც ნათელი დღე, რომ ბოროტებას და ეგოიზმს, როგორც თვითნებითი განყენებას ღვთის ნებისაგან, ვერ შეეძლოთ მტკიცე საფუძვლად დასდებოდნენ ცხოვრებას; რომ სინათლისა და ბედნიერების ძებნა საჭირო იყო სხვაგან და სხვანაირად, მხოლოდ სახელდობრ სადა და რაში — არავინ იცოდა..

ქვეყნიური ცხოვრება, იშვიათის გამოჩაქლისის გარდა, წარმოადგენდა ერთ აუტანელად მტკივან ქრილობას, რომელიც საჭიროებდა ზეთს ღვთის სიყვარულისას... „და ისმინა უფალმან ქვეყანისა, და მან დაინახა ბერი, და ღვინო, და ზეთი ღვთის განუსაზღვრელი მოწყალებისა“ (ოსიასი, 2, 21—22). გამოცხადდა მხსნელი ქვეყნისა — ქრისტე; გამოცხადდა „არა მშვილდითა, არცა მახვილითა, არცა ბრძოლითა, არცა ცხენებითა, არცა მხედრებითა“ (ოსიასი, 1, 7), არამედ თავისი ხაუკუნო ღთაების წყნარი სიმშვენერის, მოსიყ-

ვარულე ძალის და სიმათლის მეფობრივ ელვარებით...

გამოცხადდა ქრისტე, მეუფე ცათა და ქვეყანისა;—მისი ღვთაებრივი სიყვარულის, სინათლის, ძალის და ღიღების კეთილსუნელოვანი ახალი სუნთქვა და, როგორც ცხოველმყოფელი გაზაფხულის განთიადის წყნარი ნიაფი, მოედო ქვეყნიერებას, რომელიც შეუმჩნევლად, მაგრამ უძლველად იმორჩილებდა ადამიანთა სულსა და გულს, მოქანცულებს ბოროტებასა და სასოწარკვეთილებასში...

„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი (ცოდვებისა, ბოროტებისა და სასოწარკვეთილებისა გამო), და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა (ღმერთზე ვარ მინდობილი თავგანწირულებამდის). და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა“... ასე ასწავლიდა ქრისტე მაცხოვარი ხალხს.

„უყურეთ,—თითქოს ასე ამბობდა უფალი,—სადამდის მიგიყვანათ თქვენ უგუნურად გაგებულმა და ცოდვაზე მოხმარებულმა ნების თავისუფლებამ, უწესოდ განშორებულმა ღვთისაგან, რომლისგანაც „ყოველივე ცოცხლობს, მოძრაობს და არსებობს“... გაიგეთ, ბოლოს, რომ თქვენი ბედნიერება მგდომარეობს მხოლოდ თქვენს დამორჩილებაში ღვთისა მიმართ, სიყვარულით და მოწიწებით ურთიერთობაში მასთან; შეიგნეთ თქვენი უსაზღვრო დანაშაული თქვენის ზეციერი მამის და კეთილისმყოფელის წინაშე,—შეინანეთ!.. დიახ,—„შეინანეთ, რამეთუ მოახლოვებულ არს სასუფეველი ღვთისა“ (მათ. 4, 17).

იგავებში: უძლებ შვილზე, უნაყოფო ღვდვის ხეზე და ბოროტ მევენახეებზე—ქრისტე მაცხოვარმა ნათლად დახატა ზნეობრივი დაბრმავება მთელი კაცობრიობისა, მისი უგუნური ღვთის წინააღმდეგობით, როგორც შედეგით ბოროტ-ეგოისტურ განშორებისა ღვთისაგან და მისი წმიდა ნებისაგან...

სხვა იგავებში, მაგალითად: მთესავზე, მოწყალე სამართლებზე, ტალანტზე, ათ ქალწულზე, ნეტარების მცნებებში,—უფალმა გვიჩვენა

ნამდვილი და ცხადი გზები გამოსასვლელად დახშული და აყროლებული მრავალ ათას წლოვანი სიბნელიდგან ღვთის ბრწყინვალე სივრცეზე... ცხოვნების გზას შეადგენს, ყველაზე პირველად, სარწმუნოება და სინანული, თავმდაბალი შეგნება უსაზღვრო დანაშაულობისა ღვთის წინაშე, და შემდეგ უკვე,—კეთილი საქმეები სიყვარულისა და მოწყალებისა, მოწიწებითი ცნობა ღვთისა, შრომა სულიერი სიფხიზლისა და თვით-გაუმჯობესობა და სრულყოფა ხატად და მზგავსად ღვთისა (მათ. 5, 48), თავის განწირულება ღვთის სასუფეველის გულისთვის, თანდათანობითი და ყოველ მხრივი კვლად აღშენება ადამიანში ღვთის მზგავსების სიმშვენიერისა და მისი დამტკიცება ქრისტეს სარწმუნოების კლდეზე (მათ. 16, 18).

შეგნება თავის დანაშაულობის და სინანულის გრძნობისა უნდა იყოს ღრმა და გულწრფელი... მთელი უბედურობა კაცობრიობისა წარმოსდგა იქიდგან, რომ ადამიანმა ამჯობინა შემოქმედს მისი ქმნალებანი—ქვეყნიური სიკეთენი და გარეგანი კეთილდღეობა... მაცხოვარმა იესო ქრისტემ გამოუცხადა ადამიანს უმაღლესი ბედნიერება—ღვთის ნებასთან სრულს თანახმობაში,— მოსთხოვა მას ცხოველი ნაყოფები სარწმუნოებისა და სინანულისა, სრული და ცხადი ერთგულება ღვთისადმი, დროებითი ხორციელ სიკეთის უარყოფამდის. ყოველი კაცი, რომელიც გუთანს მოჰკიდებს ხელს (ესე იგი, შეუღლება ცხოველ მუშაობას ღვთისგულისთვის) და უკან იყურება (ესე იგი, ღვთის-საწინააღმდეგო ეგოისტურ ცხოვრების სიკეთეებზე),— ის არ არის საიმედო ღვთის სასუფეველისთვის“...

„რომელი მოვალს ჩემდა, და არა მოიძულოს მამა თვისი, და ცოლი, და შვილნი, და ძმანი, და დანი, და მერმე კვლად სულიცა თვისი,—ვერ ხელეწიფების მოწაფე—ყოფად ჩემდა. და რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და შემოჰიდგეს მე, ვერ ხელეწიფების მოწაფე—ყოფად ჩემდა“ (ლუკ. 14, 26-27.), „რომელმან მოიპოვოს სული თვისი (ესე იგი, ქვეყნიური ცხოვრება მისი სიამოვნებებით), წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმი-

დოს სული თვისი ჩემთვის, მან ჰპოვოს იგი“ (მათ. 10, 39). გარდამატებული ბრმა სიყვარული ქმნილებისადმი (გაქიქებული ეგონიზმი) არის „მტრობა ღვთის წინააღმდეგ“, — და ასეთი განწყობილების კაცი არ ივარგებს ღვთის სასუფეველისათვის...

მღვდ. იოანე ლუკიანოვი.

შემდეგი იქნება.

სიტყვა, თქმული ახალ სჯედრის კურთხევაზე.

ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა. ფსალ. 117, 24.

ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! მოგილოცავთ ეკლესიის განახლებას და კურთხევას. დიდი მადლობის ღირსნი ხართ მრევლნი ამა ეკლესიისა, რომ თქვენ ჩვენი ძვირფასი მღვდელ-მთავრის ყ-დ სამღვდლო ლეონიდის 1900 წლის ეკლესიების რევიზიის დროს შენიშვნა და დარიგება ეკლესიის განახლებას და მხატრობის შექმნისა არ დასტოვებთ უყურადღებოთ, შეიგნეთ, თუ რა არის ეკლესიის განმშვენებელი. იმ ახლო დროიდგან შეუდევით დიად საქმეს, ეკლესიის განახლებას და კიდევაც ღვთის შეწვევით და მათი მუხუდების ლოცვა-კურთხევით ღირსეულად დაავგირგვინეთ კეთილი საქმე. ძლიერ საყურადღებო და სამაგალითო არის სხვებისთვის თქვენი, ერთი მუჟა მრევლის, არა უმრავლეს ოთხმოც და ათი კომლი კაცის, მოქცევა, რომ ერთი წლის ვადაში უკუნ აგდეთ ყოველივე ოჯახური და საზოგადოებრივი ხარჯები და არ დაიშურეთ უკანასკნელი ღონისძიება ეკლესიის განახლების და მხატრობის შექმნისთვის. დღეს ყველას, ვისიც გულში არის ქრისტიანული სიყვარული, სასოებაში მოიყვანს გარეგნული და შიგნითი მოწყობილება ახალ-საყდრის წმ. ნიკოლოზის ეკლესიისა. თქვენ დიდი მავალითი უჩვენეთ თქვენ გარემო სოფლების მცხოვრებლებს და მასთან დაუმტკიცეთ, თუ რა არის

სურვილი და მონდომება ყოველ კეთილ-საქმეებში. კიდევ თქვენი მაგალითი გვიჩვენებს, რომ მთლათ არ გამქრალა გურიის ხალხში ქრისტიანობა და ეკლესიის სიყვარული, იმ ქარიშხლის შემდეგ, რომელიც გამოიარა ჩვენმა ხალხმა ამ ხუთი-ექვსი წლის წინეთ და ჩვენ თქვენთან გვიხარის ასეთი დიადი საქმის დასრულება და განვიმეორებთ იმ სიტყვებს, რომლებსაც იტყოდა დავით წინასწარმეტყველი ერთ ერთ მის ფსალმუნში: „ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა“. ფსალ, 117, 24.

მართლაც უნდა გვიხაროდეს, რადგანაც ამ ტაძარში ჩვენთან არის ღმერთი და ვისმენტ ხმასა ჩვენი მწყემსისა—უფლისა იესო ქრისტესა. სად შეიძლება განსაკუთრებით მოვისმინოთ ხმა უფლისა? შეიძლება მოვისმინოთ ყოველ ადგილს გვიპასუხებენ, მაგრამ განსაკუთრებით უფრო შეიძლება ეკლესიაში: ის არის სახლი ღვთისა, სახლი სალოცველი, სასწავლებელი კეთილ-მსახურებისა, აქვე, ეკლესიაში იკითხვის სიტყვა ღვთისა, აქ იგალობებიან საღმრთონი საგალობელნი, აქ სრულებიან წმ. საიდუმლონი, რომელნიც ზრდიან სულსა ჩვენსა, აღამაღლებენ და აკეთილ-შობილებენ პატიოსნებასა და სვინიდისსა კაცისასა. თქვენ აღაშენეთ ეკლესია, რომელიც როგორც მართალს, ისე ცოდვილს სინანულით აკავშირებს ღმერთთან,

ვინაიდგან თქვენ დღეს გაქვსთ ეკლესია, ვსთხოვთ ყ-დ შემძლებელს ღმერთს, რომ ეს წმ. ეკლესია ამიერიდგან იყოს თქვენთვის წყაროდ სულიერის მადლისა, ნუგეშისმცემლად, განსაწმენდლად, განმანათლებლად და მაცხოვრებლად, და ექვიც არ არის ამაში, რომ ყ-დ შემძლებელი და ყ-დ კეთილი ღმერთი უნუგეშოთ და უწყალოთ არ დაგვტოვებს ჩვენ არავითარ დროს.

ახლა, ძმანო ჩემნო, თქვენ ეკლესია უკვე დასრულებული და ნაკურთხი გაქვსთ და კურთხევის შემდეგ მადლი ღვთისა ტრიალებს მასშინა უკუნისამდე, მაგრამ, რათა ეკლესია თქვენთვის იყოს ჭეშმარიტათ სასარგებლო, თქვენ თქვენი მხრიდგან განიზრახეთ და შეიტ

ყვეთ და იფიქრეთ, თუ რა უნდა ქმნას ყოველმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, როგორ იხმაროს ეკლესია და როგორ უნდა იქცეოდეს მასში.

პირველათ ყოველ მართლ-მადიდებელ ქრისტიანს უნდა ქონდეს განუყრელათ ეკლესიის სიყვარული, როგორც სულიერი საზრდოს მომცემისა. ეს სიყვარული უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ ქრისტიანი კაცი ყოველთვის, შეძლებისდაგვარად, უნდა შრომობდეს ეკლესიის განშენებისთვის. როგორც ღვთის სახლისა, ყოველ კვირა და უქმ დღეებზე დადიოდეს ეკლესიაში წირვა-ლოცვის მოსასმენლათ ყურადღებით და ღმობიერებით.

მეორეთ, ყოველი მართლ-მადიდებელი ქრისტიანი უნდა აღასრულებდეს წმ. საიდუმლოებს, ეკლესიიდან მოწოდებულს, გულს-მოდგინეთ, შეგნებულათ და არა გარეგნული მხრით და ძალდატანებით. უმეტეს წმ. საიდუმლო ზიარებას მიიღებდეს ყოველ წლებით, რათა ეკლესიის წინაშე განიწმიდოს სიწმიდით თავი თვისი ცოდვებისაგან და შეუდგეს ნამდვილ ქვეშაირთ ცხოვრებას. მესამეთ, თავი და თავი მოვალეობა არის, როდესაც მართლ-მადიდებელი ქრისტიანი განამშვენებდეს ის ეკლესიას, თუ რაიმე საიდუმლოს აღასრულებდეს, ან თუ კვირა უქმ დღეებზე დადიოდეს ეკლესიაში, ამას უნდა იქმოდეს სულის მოთხოვნილებით და არა ფარისევლურათ და მხოლოდ შესახედავათ. შიგ ეკლესიაში ღვთის სიტყვას ისმენდეს წმიდა გულით, მიუძღვნდეს ღმერთს შენანებას ცოდვათათვის და გამოითხოვდეს შენდობას განმავლობასა შინა მთელი კვირის შექმნილის ცოდვებისა და ასე რომ ეკლესიიდან უნდა გამოდიოდეს კრიტიანი შემძენელი რაიმე კეთილი აზრისა და დამდგარი ქვეშაირთ გზაზე.

თუმცა ჩვენ ცოტათ თუ ბევრათ დავახასიათეთ მართლმადიდებელი ქრისტიანის მოვალეობა ეკლესიის წინაშე, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ჩვენში ამ ბოლო დროებში სულ წინააღმდეგ მოქმედებას ვხედავთ მართლ-მადიდებელ ქრისტიანებში: საზოგადოთ ეკლესიის

გამშვენებაზე სულ ცოტას ფიქრობენ და არ მიაჩნიათ ის სავალდებულოთ, როგორც სხვა ქვეყნებში, წირვა-ლოცვას ისმენენ ძლიერ ძვირათ, ასე რომ ეკლესიაში ნახავთ ხალხს მართლ დიდ დღესასწაულებზე, როგორც არის აღდგომა, ახალი წელიწადი, ქრისტეს შობა და ეკლესიის დღესასწაული, წმ. საიდუმლოებს აღასრულებენ გარეგნულათ, რაიმე პრაქტიკული მოსახრებით ხოლო რაც შეეხება წმ. საიდუმლო ზიარებას, არის ნაწილი მრევლისა, რომელსაც სულ არ მიაჩნია სავალდებულოთ, რომ მიიღოს წმ. საიდუმლო ზიარება, ასე რომ სინანულის დღეებში, რომელიც არის დიდი მარხვა, მარიობის მარხვა და სხვა, ეკლესიაში დაინახავთ სულ ცოტა მლოცველს. არა თუ ახალგაზღვებს ვერ დაინახავთ ეკლესიაში ამ დროს წმ. საიდუმლო ზიარების მისაღებად, არამედ ვერც იმ მოხუცებულებს, რომლებსაც ცალი ფეხი სამარეში უდგიათ. ეკლესიაში დღომა და შიგ წირვა ლოცვის მოსმენა გულმოდგინეთ—ეს ხომ ჩვენში ძლიერ არა სასურველ ნიადაგზე დაყენებული. ნახავთ სოფლებში წმ. სახარების კითხვაში, ან მთელ წირვის განმავლობასა შინა მართლ-მადიდებელად წოდებული კაცი ეკლესიის გალავანში თავის თავს განართობს ტკბილი ლაპარაკით და მუსაიფით და არ ფიქრობს იმაზე, თუ რა ხდება ეკლესიაში.

ძმანო ჩემო, როგორც თქვენი ეკლესია განახლებულია და დღეს მას ზედა გადმოვიდა მადლი ღვთისა, ისე, ვსთხოვ ყოველად შემძლებელ ღმერთს, თქვენზე გადმოვიდეს მადლი ღვთისა, განახლდეთ ზნეობით, ყოველივე თქვენი მოვალეობა ეკლესიის წინაშე აგესრულებით ისე, როგორც გულმოდგინეთ აღასრულებდენ თქვენი ძველები ამას წინეთ, როგორც ამას მოითხოვს ეკლესიის კანონი. ამ მხრიდანაც მაგალითი გეჩვენებოთ სხვისთვის, როგორც ეკლესიის გამშვენებაში.—ერთი სიტყვით, ვსთხოვ, ღმერთს, ამიერიდან თქვენ იყენეთ ქვეშაირთი ქრისტიანი ნამდვილ საქმიოთ და არა ხოლო სიტყვით, როგორც ამას გვას-

წავეს მოციქული: „სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვლარ არს“ (იაკობ. 2—20). ამინ.  
 მღვდელი ქრისტეფორე კეპალაძე.

## კ რ ი ტ ი კ ა. ეკატერინე გაბაშვილისა.

V.

ამ პატარა მოთხრობებშია ეკატერინე გაბაშვილისა სოფლის ცხოვრების ზედა პირს ეხება და, როგორც რომ მანტიკი, არა ჩვეულებრივს, იშვიათ მოვლინებებს ეტანება, რომელიც მას აღვილადაც შეუმჩნევეია იმ დროს ქართველთა ცხოვრებაში. ამიტომაც იმის ნაწერებს, მართალია, აკლია ღრმა და ხლიერი შემოქმედობის ძალა და ცხოვრების საიდუმლოებას, დაფარულს მხარეს სრულიადაც ვერა ჰკვეთს, ვერა სჭრის...

უკანასკნელი მოთხრობა „ნიკოს გამარჯვება“, როგორც მოგახსენეთ, უფრო უკეთ არის, შედარებით სხვა მის მოთხრობებთან, დამუშავებული. იქ ცივ გომბორის მთაზე შევნიერი, სუფთა შარა გზის აღწერილობა მოკლეთ ლაზათიანადაც აქვს და ალავერდობის დიდი დღეობაც ცოცხლად, დაკვირვებით გადმოცემული.

მაგრამ დიდათ შევნიერი კახეთის საოცარი ბუნების მხატვრული აღწერილობა სრულებითაც ვერ მოგვეცა ჩვენმა სასახელო მანდილოსანმა, როგორც ვერ მისცეს ჩვენს ლიტერატურას ამგვარი მისი აღწერილობა კახეთის დიდძლა ნიჭიერმა შვილებმა — ალექსანდრე ჭავჭავაძემ, რაფიელ ერისთავმა, ილია ჭავჭავაძემ და „ზნელოს“ ავტორმა — მელანიამ. ისინი მხოლოდ უნდავ. გაკვრით, ყმაწვილურის სიცვლით შეგებენ კახეთის ბუნების სახეს, რომელსაც მათზე რაიმე შემთხვევის დროს დიდი ჩაბეჭდილება მოუხდენია.

ამდენი ხანი გასულა, რაც ჩვენი ლიტერატურა აღორძინებულია და კახეთის ბუნების

სიმდიდრეს და სიტურფეს ქართველი მწერალი მხატვრულად ვერ აუმეტყველებია, იმ კახეთს, რომლის შევნება მუნჯსაც კი აუღვამს ენას, და, პოეტის თქმისა არ იყოს:

„მისი გული სიცოცხლისთვის კვლავ გაიღვიძებს...

კვალად შეხედავს ცას და მიწას ნათლის თვალითა,

ოღონდ შეხედოს დაბლა ვრცელს ველს, მის წინ გარდაშლილს,

ველსა, მთლად მოსილს წალკოტებით და ყვაილებით.

ველსა ედემსა, ტურფა ედემს, ღვთისგან პირველ ქმნილს...

შეხედოს, ნახოს მის მდიდარი, ტურფა შევნება,

და მისი გული სიცოცხლისთვის კვლავ გაიშლება“.

რა არის ამის მიზეზი, რომ ისეთი ნიჭიერი მწერალი, როგორც ეკატერინე გაბაშვილისა, მხატვრულ აღწერილობას ვერ იძლევა და შემოქმედობის ტალანტის ფრთას ღონივრად ვერა შლის?

ჩემი აზრით, ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ ჩვენი მწერალი უფრო ხშირად კი არა, თითქმის სულ ერთიანა წერს საპუბლიცისტო საგნებზე, ჩვენს ნორჩს ლიტერატურაში სამოდოდ შემოჭრილს ტემებზე საამდროოდ სურათებს. ეს არის მიზეზი, რომ ავტორი თვისდა უნებურად სცილდება, სცდება შემოქმედობის ფარგალს, ხორც-შესხმულ ესთეტიკას და იძლევა, თუმცა საინტერესოდ, მაგრამ მდაბიოთა გასართობლად წასაკითხავ მასალას...

გასული საუკუნის ოთხმოციანი გაიტაცა სოფლის იდეალიზაციამ, გლეხების იდილიურმა, მყუდრო, მარტივმა ცხოვრებამ, გლეხთა უცოდველ, უმანკო არსებად დასახვამ და იმისმა თავდაუზოგველად სამსახურმა...

რა თქმა უნდა, მწერლობამ ვერ აუქცია გვერდი ამ გზას და დაიბადენ იმ დროს ჩვენშია, ასე წოდებული, ტეტიათა მოტრფილენი. ამგვარი ტრფიალი დაეტყო უფრო ჩვენს ლირიკას და განსაკუთრებით ბელეტრისტიკას.

რასაკვირველია, ისეთი ნიჭიერი, გულწრფელი და გრძნობიერი მწერალი, როგორც ეკატერინე გაბაშვილისა, მთელის არსებით წმინდის გულით მიეცა ამ საერთო მიმართულებას, და სხვასთან ერთად ისიც დაჯერებული იყო და ფიქრობდა, რომ მარტო შკოლებით და კეთილისიტყვებით, პირადის მგალითით ქართველ გლეხკაცობას გაიტაცებდა სიმართლისა, კემპარიტებისა და თანასწორობის იდეისაკენ...

ამათ არ იცოდენ, რომ ყმობისგან გათავისუფლებული გლეხი თუმცა ჩამოშორდა როგორღაც თვის ნაბატონარს, მაგრამ ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორების სრული უფიცი იყო და უფრო შეურიგებელი მტერიც იმ იდეალებისა, რომელიც სურდა თავგამოდებით შეეტანა მაშინდელ ინტელიგენციას გლეხებში სოფლად.

გლეხი დიდი ხანია ისტორიამ შეაბა ვიწრო ინდივიდუალიზმის მძიმე, გამწარებულ უღელში, წაბილწა მთლად იმისი სულიერი აგებულობა და ცხოვრება. არა თუ მაშინ, იმ დროს, როცა ამ მოთხრობებს წერდა ჩვენი სასიკადალო მწერალი-მანდილოსანი, არამედ ახლა, გუშინაც ამ გარემოებამ, მთელი რუსეთის გლეხობის ასეთმა სულიერმა განწყობილებამ, რუსის გლეხობის უძლიერესმა კონსერვატორობამ დაღუპა მთელი, ასეწოდებული, გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მოჰყვა იმ შესანიშნავ ისტორიულ ამბავს, რომ ყვითელი მოღვმის აზიელმა პატარა კაცმა მანჯურის მიდგრებზე და წყნარ ოკეანეზე საშინლად დაამარცხა ევროპის ერთი უდიდესი სახელმწიფოს თეთრკანიანი მკვიდრი...

აი, ამ ისტორიის მიერ განადგურებული გლეხის ეკონომიურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილობამ, კარჩაკეტილობამ, დაყრუებამ, რომელსაც გაულმერტებია თვისი ერთი ტკაველი მიწა და კუჭი, რომელსაც მთელი სამყარო გროშადაც არ მიაჩნია, ამან და მარტო ამან მოიძნო, მოინარეკლა და სულერთიანა გაანელა ყოველი კეთილი სურვილები და სამერმისო იდეალები ინტელიგენციისა არა მარ-

ტო ჩვენში, საქართველოში, არამედ ყველგან, მთელი ევროპის ხმელეთზედაც კი...

მაგრამ იქ, ევროპაში გლეხ-კაცობა ახლა ძალიან გამოფხიზლდა... სხვილი ევროპის კაპიტალიზმი ისეთი ძლიერი და რთული შემოქმედობითი ძალაა, რომ ევროპის ხმელეთზე მოსახლე გლეხის ტვინში მთელი რევოლიუცია მოახდინა მან.

ამიტომაც, ძალიან მართალს ამბობს დღეს დიდათ ნიჭიერი პროფესორი ფილოსოფიისა და საქვეყნოთ სახელგათქმული ორატორი ენ-ფორეოსი: „გლეხმა იცის ახლა (კურსივი ჩემია), რომ ეკონომიურ ძალთა თამაში სოციალური ხასიათისაა, და არა კოსმიური მოვლენა, და იგი აღარც ემორჩილება იმას ისე, როგორც ემორჩილება ბუნების ძალთა სტიქიურ ზედმოქმედებას...

და, აი, ახლა იმისი თვალის წინ წყვილიადიდან ამოკურდებიან დაშორებული ხალხები და ქვეყნები... როგორც მკაცრი უღმობელი სინამდვილე; იმას ეუბნებიან, რომ შესაძლებელია, იმ პურის თვისებისგან, რომელიც დაუთესია ვილაც ფერმერს ამერიკაში, ოქროს და ვცხლის რაოდენობისგან, რომელიც ამოულიათ აფრიკის სამხრეთის ქვეყნების, ან ავსტრალიის მადნებიდან, ტამოყენების გადასახადისგან, სახელმწიფო ბეგარებისგან, სოფლიო ბაზარზე ფულების კურსის მდგომარეობისგან, ყველა ამისგან, შესაძლებელია, ხვალ დამოკიდებული იქნეს მის მეზობლად მდებარე ქალაქში იმისი საზრსებო პურის ფასებიც ბაზარზე, დამოკიდებული იქნეს მისი შრომის ფასიც, მისი თავისუფლებაც, მისი საკუთრებაც.

მაშინ გლეხი სულ პირველად გრძნობს მთელ სოფლიოსთან სოლიდარობას და, წინათ სულმთლათ ქვეყნიერებას მოწყვეტილი და კარჩაკეტილი, ცოცხლად დამარხული ერთს თავის მტკაველ მიწა-წყალზე, თვისი დაყურსული უეციკობით, ეგოიზმით სულ-ხორციანა ჩაღუპული, იგი ახლა გრძნობს, რომ მისი ინტერესები შეკავშირებულია, გადახლართულია სხვა ხალხების ინტერესებთან. ატმოსფერული ძალები კი არა, ეკონომიური და სოციალური ფაქ-

ტორები ასწვენ და დასწვენ ძირს ახლა მისი შრომის, მისი პურის ღირებულობას; და გაცვიფრებული, გონება გაფანტული ამ მოვლინებით იწყებს იგი დაკვირვებას და ფიქრს; როცა იგი ვაივლის უზომო ტანჯვის გრძელს ჯაქვს ეკონომიური კრიზისების მეოხებით, შედის, და ბოლოს, კაცობრიობის ცხოვრებაში და ჩაერევა მის აზვირთებულს დუღილს.“

ხომელი.

## ჩვენი შკაფი.

მთელი ქუთაისის წიგნის მაღაზიები რომ შემოიარო, ერთ წიგნსაც ვერ იშოვნი სარწმუნოებრივ ზნეობრივ შინაარსიანს ქართულ ენაზე. ეს არც მემალაზიების ბრალია, რადგან ასეთი წიგნები ან ძრიელ ცოტა გვაქვს ქართულ ენაზე, ან სულაც არა გვაქვს, ასე რომ ძალიანაც რომ გსურდესთ ასეთი წიგნების შეძენა, ვერ იშოვნი. საჭირო კი იყო და დღესაც არის, რომ იყოს ქუთაისში მაინც ისეთი განსაკუთრებული ადგილი ან შკაფი, სადაც მსურველს შეეძლოს ხსენებულ სარწმუნოებრივ ზნეობრივი წიგნებ-წიგნაკების მოპოება. იმერეთის სარწმუნოებრივ განმანათლებელი წმ. გიორგის ძმობა კი ხანია გრძნობდა ამ საჭიროებას და ცდილობდა დაეწყო და საძირკველი მაინც ჩაეყარა ამ საქმისათვის. აი სწორეთ ამ მიზნით მან დაიდგა საკუთარი შკაფი პატივცემულ ი. კვიციანიძის ქურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში“, სადაც მოათავსა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის წიგნები. თქმა არ უნდა, ეს შკაფი ჯერ ძრიელ ღარიბია საღვთისმეტყველო წიგნებით და უმეტეს ნაწილად წმიდანების ცხოვრების წიგნაკებს შეიცავს, მაგრამ იმედი გვაქვს, მორწმუნე საზოგადოების დახმარებით და ჩვენი უმაღლეს სასულიერო სწავლა დამთავრებულ სამღვდლოების ენერგიული და ბეჯითი მუშაობით ჩვენი შკაფი გაიზრდება და მთელ წიგნთ-საცავთ გადაიქცევა. ყველაფერი ბატარა იბადება და ჟამთა განმავლობაში ახწვეს თავის ფიზიკურ სისრულეს. იმედი გვაქვს, ლეითთ ეს ბუნების კანონი ჩვენ

შკაფზედაც იმოქაედებს. ჯერ კი სულ არაობას „ცალი უღელი ხარი სჯობია“.

აქვე ამ შკაფთან იყიდება და ურიგდება ხელის მომწერლებს (ქვიტურის საბლადოჩინო) „შინაური საქმეები“ და მისი რედაქციის გამოცემები.

ძმობის გამგეობა და შინ. საქ. რედაქცია მადლობას უძღვნის ბ. ისიდორე კვიციანიძეს, რომელმაც მუქთად დაუთმო ადგილი ჩვენ შკაფს თავის ქურნალ გაზეთების კანტორაში.

წიგნების წმინდა მოგება ეკუთვნის „ძმობას“, რომელიც ამ მოგებას ახალი წიგნების გამოსაცემათ მოიხმარს.

ამ ჟამად შკაფში არის მოთავსებული 62 სხვა და სხვა სახელწოდების წიგნებ-წიგნაკები. აქვე იყიდება ბრიტანიის ბიბლიურ საზოგადოების გამოცემები (ჯერ მხოლოდ ახალი აღთქმა — სახარება). ძმობის გამოცემულ წიგნებ-წიგნაკების კითხვა, ექივი არ არის, დიდ გავლენას იქონიებს ხალხის სარწმუნოებაზე და ზნეობაზე, ამიტომ უმორჩილესათ ესთხოვთ ყველა მღვდლებს და ქრისტიან ქველმოქმედებს და გვეხმარონ ხალხში ამ წიგნების ფართო გავრცელების საქმეში.

ძმობის გამგეობა.

## სძა ოლასკურდიან.

შინაური საქმეების № 33 წავიკითხეთ მოკეთის წერილი შესახებ საფირჩხიის სასაფლაოს შემოსავლისა. სამართლიანად მიგვაჩნია ბ. მოკეთის საჩივარი. ასეთივე საჩივარი გვმართებს ჩვენც გამოდმელებს, ვინც ოლასკურაზე ვიმარხებით. რამდენი ხანია ეს სასაფლაო არსებობს და დღემდის ერთი ეკლესია ვერ აუგია, გალავანიც ვერ გაუკეთებია, რომ ღორებისგან მაინც დაგვეფარა მიცვალებულთა საფლავები. სწორეთ გასაკვირვებელია, რათ ჰკიდებს სამღვდლოება ხელს ისეთ საქმეს, რომლის გაძლოა. არ შეუძლია, სამართალი მოითხოვს ვიცოდეთ, სად მიდის ის ფული, რაც სასაფლაოს შემოაქვს, რომელ ბანკში ინახება და რა დანიშნულება ეძლევა? იმედია მისი მეუფება ყურადღებას მიიქცევს ამ გარემოებას, გაგვაგებინებს ჩვენი სა-

საფლავის მდგომარეობას, რომ ჩვენც ვიცოდეთ, რაშია საქმე და რა დახმარება ეჭირვება ჩვენი მხრივ.

**გამომგელი.**

ზასუსხად ბ. მოწაფეს.

შინაური საქმეების № 18, და 19. ბ. მოწაფის წერილია მოთავსებული, რომელშიაც ეხება საზოგადოთ ქართული გალობის მდგომარეობას შკოლებში და განსაკუთრებით, მე, ჩხარის საქალბო შკოლის მასწავლებელს.

ქართული გალობა, რომ კარგათ არ არის დაყენებული ჯერჯერობით ჩვენს შკოლებში, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. რაიცა შეეხება ამ საგანს იმ შკოლაში, სადაც მე ვმსახურებ, გალობის საქმე, რომ თავის ქებათ არ ჩამომერთოს, რაც მოსახერხებელია, კარგათ არის დაყენებული და იმ კილოზე სწარმოებს, რომელიც საზოგადოთ მიღებულია სამრევლო საეკლესიო შკოლებში; ამ გარემოებას გარდა მეთვალყურეებისა ადგილობრივი გამგისა სხვაც ბევრი დამიმოწმებს, ვისაც კი ჩემდამო რწმუნებულ შკოლაში შემოუხედია.

რაც შეეხება რუსულ-ქართულ გალობას ეკლესიაში, უნდა მოვხსენო ბ. მოწაფეს, რომ მე ჩემი ახლო მთავრობის ბრძანებას გვერდს ვერ აუვლი. შესცვალეთ საზოგადო წესწყობილება ჩვენი სახალხო შკოლებისა და მაშინ მოსთხოვეთ მასწავლებელს მხოლოდ ქართული გალობა. მიკვირს, რატომ მხოლოდ ჩემზე გამოილაშქარა ბ. მოწაფემ, როდესაც ჩემს მგალობელთა გუნდს „რომელი ქერუბიმთასა“ და „შენ გიგალობთ“-ის მეტიარ უთქვემთ რუსულათ, ხოლო მეორე გუნდი კი რომელსაც შეადგენდა ადგილობრივი სამინისტრო შკოლის მასწავლებელი თავისი მოწაფეებით, სულ რუსულათ გალობდნენ.

დაბეზღების შესახებ მე პირადათ არასფერს ვიტყვი, ბ. მოწაფე, და ესთხოვ ადგილობრივ გამგეს იხმაროს მოქალაქობრივი გაბედულობა და მოკურიღებლად განაცხადოს, თუ ვისთან და ან რაში გამოიხატა ჩემი მახეზღობა.

მასწ. იონა გაბეზღაძე.

**კვირიღამ-კვირაშდე.**

სამღვდელოების წრეეანდელ დამატებითი ჯამაგირებიღამ საქართველოს საეკსარხოსოსათვის ყარსის ოლქიანათ 10000 მანეთი ურგიათ. ეს ფული ჩვეულებრივათ სამღვდელოების კრებამ უნდა გაანაწილოს. თუ რამე გადარჩა შემდეგ განაწილებისა ისევე ხაზინაში უნდა დააბრუნონ. ამავე თანხიდან 12 გადმოსახლებულ რუსთა სამღვდელოებას უნდა გაუხადონ ჯამაგირი—მღვდელს 900 მედავითნეს 300 მანეთამდის.

როგორც გავიგეთ, უწ. სინოდს გურია-სამეგრელოს სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარეთ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი არხიმანდრილი სტეფანე დაუმტკიცებია.

**მოკონსებანი ვაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებიდგან.**

1894 სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში მოხდა თბილისის სასულიერო სემენარიში მოწაფეების არეულობა, რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია მთავრობის მხრივ. სემენარიის მდგომარეობის და არეულობის მიზეზების გამოსაკვევ-გამოსაძიებლად თბილისში ჩამობრძანდა მაშინდელი ობერ-პროკურორის ამხანაგი სენატორი საბლერი, (ახლა ობერ-პროკურორია), რომელსაც სემენარიის მდგომარეობა ისე გართულებულად ეჩვენა, რომ საქართველოში მეორე სემენარიის დაარსება აუცილებელ საქიროებათ მიიჩნია. ამ საქმის თაობაზე სენატორი საბლერი დიდმარხვას შუაყვრებში ჩამოვიდა ქ. ქუთაისში ვაბრიელ ეპისკოპოსთან მოსალაპარაკებლად.

ვაბრიელ ეპისკოპოსის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც მისი დიდიხნის ნატვრა და მეცადინეობა ქუთაისში სემენარიის დაარსებისა ახლა ხორციელდებოდა. ჩამოსვლის დღესვე დაამთავარიელებინა საბლერს მომავალი სემინარიის შენობისათვის საქირო ადგილი, მეორე დღეს კი შემოიყვანა სასულიერო

სასწავლებელში მოწაფეების გამოსაცდელათ. მეოთხე კლასში მესამე გაკვეთილი ქართული ენა იყო, რომელსაც გვასწავლიდა განსვენებული პოლიევქტ კვიციანიძე. გამოგვიხმეს ქართული ენის და საღეთო წერილის კარგათ მკოდნე მოსწავლეები. წინ გველაგა დავითნის და სახარება-სამოციქულოს წიგნები; ჯერ კითხულობდით მუხლობრივ, მერე ვარჩევდით ქართულათვე და შემდეგ ვთარგმნიდით რუსულათ, საბლერის გასაგონათ. დიდათ გააოცა სენატორი საბლერი ხუცური ანბანის ნახვამ. იმან თურმე მანამდის არც კი იცოდა, თუ ჩვენ ქართველებს მხედრული ასოების გარდა საეკლესიოც გვქონდა. ბევრი მაფურცვლია მე დავითნის და სამოციქულოს ფურცლები და მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ასე შშენივრად უგებდით ყოველ კითხვებზე. გაბრიელმა და საბლერმა ორთავემ ერთად გვიმახარობლეს, რომ ენკენისთვიდგან აქვე დაგვიარსდებათ სემენარია, და აბა თქვენ იცით, როგორ ბეჯითობას გამოიჩინთ სწავლაშიო, და დიდათ ნასიამოვნები წაბრძანდნენ სასწავლებლიდგან. მე არ მეღირსა ამ სემენარიაში შესვლა წლოვანების გამო. როცა სემენარიის რექტორმა მამა დიმიტრიმ ეს ამბავი გამომიხება, მე სევდით გული წამივიდა და ძლივს მესამე დღეს შევიძელი ადგომა.

მეოთხე დღეს დამიბარა მ. დიმიტრიმ და მითხრა: „აქ მიღება შენი წრეუნდლობით არ შემოიღია, რადგან სინოდის ბრძანებას ვერ გადაუხვევ ამ ჟამად, აი შენ ეს სამი თუმანი; ამითი გაგზავნე თორმეტი ტელეგრაფა რუსეთის სხვადასხვა ქალაქების სემენარიებში. იქ წლოვანება არ უშლის მიღებას და, თუ აღგილი იქნა რომელსამე მათგანში, ამ ერთი წლით იქ იყავი და მერმისათვის აქ გადმოგიყვანო“. ტელეგრამებიც გადმომცა დაწერილები. მე დიდი მადლობა შევწირე მ. დიმიტრის და გაგზავნე ყველა ტელეგრამები. მესამე დღეს ყველა სემენარიებიდგან მივიღე უარი პირველ კლასში ადგილის უქონლობისა გამო; მხოლოდ ტომსკის სემენარიიდან იწერებოდნენ, გამოუცდელათ მივიღებთ პირველ კლასშიო. ეს ამბავი ისე გამეხარდა, რომ ჩემს სიხარულის საზღვარი არა ჰქონდა. და მსწრაფლ შეუდექი ტომსკში გამგზავრების თავდაირვის. მ. დიმიტრი 40 მან. შემპირდა

კიდევ--და წერილის მიწერაც აღმიტქვა ტომსკის სემენარიის რექტორთან. ამნაირად მოვამზადე ყოველივე სამგზავროთ და 19—20 სექტემბერს უნდა გზას ვავდგომოდი დედ-მამის დაუკითხავათ, რადგან ისინი თუ შეიტყობდნენ, აღარ გამიშვებდნენ. მხოლოდ ერთი-ლა მაკლდა: გაბრიელ ეპისკოპოსისაგან ლოცვა-კურთხევა უნდა მიმელო და ბლადოჩინისაგან მოცემული სილარების მოწმობა მინდოდა, რომ მათ მეუფებასაც დაემოწმებია. ავწერე ჩემი ყოველივე მდგომარეობა თხოვნაში და 18 სექტემბერს, საღამოს ჟამს წავედი ყოვლადსამღვდელოსთან. გაბრიელი დამიხვდა ეზოში ცაცხვის ქვეშ; ტანზედ ეცვა მარტო კაბა; თავზედ მღელღის მოძველო შლიაპა ეხურა; ხელში ჯოხი ეკავა და ნელ-ნელა დაბრძანდებოდა. მისვლისათანვე თაყვანი ვეცი და ლოცვა-კურთხევა მივიღე, ხელში კი თხოვნა შეჭირა. „ეგ რა გიჭირავს, შვილო“, მიბრძანა მათმა მეუფებამ.—თხოვნა გახლავს, რომელიც თქვენ უნდა მოგართვათ, კრძალვით მოვახსენე მე.

—რა გაქვს მერე შვილო სათხოვარი, ისე სიტყვიერად მომიყევი, მიბრძანა კვლავ ეპისკოპოსმა, და ჩამოჯდა ცაცხვის ქვეშ საფლავის ქვაზე. თვალტრემლიანმა ხმის კანკალით მოვახსენე ყოვლადსამღვდელოს ყოველივე გარემოება და დაუმატე, რომ, თუ სემენარიაში შეუსვლელი დავრჩი და სწავლის გაგრძელება მომესპო, თავს მოვიკლავ მეოქი. კარგახანს ვიდექი მის წინაშე თავჩალუნული, ის კი „ვაი შვილო, ვაი საცოდაობა“, ხშირად იმეორებდა და პასუხს არ მაძლევდა. ბოლოს ბრძანა:—რათ გინდა შვილო, სწავლა, თუ შენ თან გადაყვები; შენ, როგორც გატყოფ. სუსტი აგებულობის ბავშვი ხარ, ტომსკის ჰავას ვერ აიტან და მოკვდები. მერე და, შე საცოდავო, ამ ბლუზით შეგიძლია იქ გაძლება? და ამ სიტყვებთან ერთად პარუსინის ბლუზზე მომიკიდა ხელი.—ვერა შვილო, მე შენ იქ წასვლას ვერ გირჩევ, რადგანაც აუცილებლად უბედურება მოგეღისო.—თუ აქ მიშველით, მეუფეო, და თქვენ მიერ დაარსებულ სემენარიაშივე მიმაღებინებთ, დიდ მადლს მოიძღუნით ჩემს თავ-

ზე შეთქი, შევეხვერწე. — მაგ საქმეს ვერ აგისრულებ, შვილო, ჩემდა სამწუხაროთ, ბრძანა ეპისკოპოსმა, ვინაიდგან სინოდი დიდათ შევაწუხებ აქ სემენარიის გახსნაზედ, კიდევ ამისრულა და ახლა ჩემგნით ხელახალი ამას თხოვნა მოუხერხებელი რამ არისო. მერე და მაინცა და მაინც რას ჩაიცივებხარ სემენარიას, ოთხი კლასი ხომ გაათავე, უსწავლელი აღარა ხარ და მეტი რაღა გინდა? კვლავ შემეკითხა ყოვლადსამღვდელო. — მინდა რომ მღვდლათ ვეკურთხო, მეუფეო; თუ სემენარია არ გაათავა კაცმა, თქვენ მღვდლათ არ აკურთხებთ ხოლმეთქო, უპასუხე. — ტყუილი ფიქრი გქონია შვილო ეგ შენ, რადგანაც მე ეპარქიაში მრავალი მყავს ოთხკლასიანი მღვდლები და ბლადოჩინები; რომლებიც სემენარიელებს ბევრათ მირჩენია, ვინაიდგან ისინი უფრო ერთგულად მისრულებენ ყოველ მინდობილებას და მრევლშიდაც უფრო წარჩინებით მოღვაწეობენ. — ასე, შვილო, წადი შენს სოფელში ბაბუაშენთან, გახსენი სამრევლო შკოლა და, თუ კარგათ წაიყვან საქმეს, უსათუოდ ბაბუის ოლარს არ დაგეკარგავ და მის ადგალზე გაკურთხებო.

ჩენი ლაპარაკი ყოვლად სამღვდელოსთან გაგრძელდა დაახლოებით ნახევარი საათი, და ის-ის იყო მათ მეუფეებს უნდა გავესტუმრებინე ზემოხსენებული დარიგებით, რომ ამ დროს ეტლით ამოვიდა ყოვლად სამღვდელოსთან განსვენებული ექიმი სამსონ თოფურია, რომელიც ეტლიდგან გადმოსვლისთანავე გამოემართა ეპისკოპოსისაკენ, მიიღო ლოცვა-კურთხევა და მოახსენა: „ამ 1—2 საათში ექიმებს კრება გვაქვს დანიშნული, და გთხოვთ, ინებოთ გასინჯვა, რადგან საჩქაროთვე უნდა დაებრუნდეთ“. (იმ ხანებში ეპ. გაბრიელს ავადმყოფობა თან და თან ეჩვეოდა, რის გამოც სამსონ თოფურია ხშირად ნახულობდა ხოლმე). „მე, სამსონ, დღეს გვარიანათ ვარ, ჩემ გასინჯვაზე არ შეგაწუხებ, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ და ამისრულეო, უბრძანა გაბრიელმა: — ეს ყმაწვილი ტომსკში წასვლას აპირებს და მე ნებას არ ვაძლევ, რადგან იქა-

ური ჰავა ამას მოკლავსო, და ახლა შენ დამავალე, გასინჯე ეს ბავშვი და გამაგებინე როგორი აგებულობის არისო, და ამ სიტყვებთან ერთად გაემართა სასახლისაკენ: სამსონ თოფურიაც და მეც თან გავვიყოლია. გაბრიელი უბრძანდა ზალაში და ჩვენც თან შეგვიყვანა. როცა სამსონი მსინჯავდა, გაბრიელს ხელში გრძელი ქარვის კრიალვისონი ეკაფა და ბოლთასა სცემდა. — რავე შეატყვე მეგ საწყალს, ჰკითხა ყოვლადსამღვდელომ ექიმს, როცა მან გასინჯვა გაათავა. — თუმცა ავადმყოფობა არა აქვს რა, მაგრამ აგებულობით რომ სუსტია და იქაური ჰავის ატანა ამისთვის საძნელი იქნება, ამას თქენი მეუფეებაც მშვენიერად მიმხედარა, მოახსენა სამსონ თოფურიამ.

ამ დროს საიდგანდაც მამაჩემიც გაჩნდა რომელსაც შეეტყო ჩემი განზრახვა და გულ გახეთქილი გადმოვარდნილიყო ჩემ მოსანახავათ.

„ეს ჩემი შვილი გახლავს, მეუფეო, მოახსენა მამაჩემმა მის მეუფეებს, მაგის გამოზრდას გადავყვეით საწყალი მშობლები თან; დიდი უბედურობაა ჩვენთვის მაგისი სემენარიაში მიუღებლობა, მაგრამ ციმბირში რომ წავიდეს და იქ მომიკვდეს, ხომ სულ დაღუპული შევიქნებითო“. ყოვლად სამღვდელომ მამაჩემს შესაფერი დარიგება მისცა, თუ როგორ მოქცეულიყო, რომ ჩემ სწავლას უქმნათ არ ჩაეარა მათთვის, და ლოცვა კურთხევით გამოგვისტუმრა.

სიტყვა-სიტყვით ასრულდა ჩემ თავზე სულმნათი გაბრიელის წინასწარ თქმული. სამი წლის სამრევლო შკოლაში მასწავლებლობის შემდეგ, დავიკავე სემენარიაში სამღვდელო ეგზამენი ვრცელი პროგრამით, რომელშიდაც შედიოდა თითქმის სემენარიის ყველა საღვთისმეტყველო საგნები, და ვეკურთხე მღვდლათ ბაბუაჩემის ადგილზე. სოფელ კორბოულში, სადაც ამ ეამად ემსახურებ.

მღვდელი ვლადიმერ მაქარაშვილი.

# ლოთობა.

გაგრძელება<sup>1)</sup>.

გაჩნდა რუსეთში აგრეთვე ე. წ. სიუხიზლის საზოგადოებანი“, რომელთა მიზანი იყო თვალ-ჩინებული ომი გაეწია ლოთობისათვის. აქა-იქ შესდგა მრავალრიცხოვანი ასეთი საზოგადოებანი, რომელთა წევრთა ევალეობათ მათობელი სასმელების უარისყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმას იხდიდა საზოგადოების სასარგებლოდ.

1910 წელს რუსეთში უფრო აქტიური მოქმედება იწყეს ალკოგოლის წინააღმდეგ. შესდგა ე. წ. კრება სიმთვრალესთან საბრძოლველად („Всероссийский съездъ по борьбѣ съ алкоголемъ“) და გაიმართა ალკოგოლის წინააღმდეგ საბრძოლველი გამოფენა (противуалкогольная выставка).

კრებაზე სხვადასხვა ორატორებმა მშვენიერი სიტყვები წარმოსთქვეს ალკოგოლის წინააღმდეგ და უჩვენეს ზომები მის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

2 იანვარს კამათი იყო კრებაზე ამ თემაზე. „შესაძლებელია რომ გახდეს ალკოგოლის რაოდენობის ხმარების დაწესებაო, — სთქვა აქ. საეინმა, — პრაქტიკულად მისი ცხოვრებაში გატარება მიიწე შეუძლებელიაო“. ქვემოთ მომხსენებელი აღნიშნავს იმ პირების ცუდს გავლენას სხვებზე, რომელთაც ჰგონიათ, რომ სხვებისთვის მათ ზარალი არ მოაქვსთ. ეს პიბია ბაცილები, რომელნიც აერცვლებენ შხამს სხვებზე, განსაკუთრებით სუსტი ხასიათის მექონ ადამიანებზე. ასეთი პირები ხომ ძრიელ ბევრია. დასასრულ ენერგიულად უჩვენდა ყველას პირადი მავალითით და სიტყვით პროპაგანდა გასწიონ სრულიად ალკოგოლის ხმარების წინააღმდეგ.

უმრავლესობის ხმით მან წინააღმდეგ 43, მიღებულ იქნა ამ კრებაზე შემდეგი რეზოლიუცია ნიგეგოროდცევისა: „პირველი სრულიად რუსეთის კრება სიმთვრალესთან საბრძოლველად,

ლად, აღიარებს თვის გათვალისწინებულ პრინციპათ სიმთვრალესთან საბრძოლველად იარაღით მიჩნეულ იქნას სრული აკრძალვა სპირტნარვე სასმელებისა“.

კრების დახურვის შემდეგ წაკითხულ იქნა შემდეგი ზომები სიმთვრალის წინააღმდეგ: 1) კითხვა გეგმის შედგენისა სასმელებით სავაჭრო სახლებისა უნდა გადაწყდეს საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით, 2) სასოფლო საზოგადოებათ სრული უფლება უნდა ეძლეოდესთ დაადგინონ ლოთობის აღმკრძალველი განაჩენები; ყრილობებზე, ამ კითხვის გადაწყვეტის დროს, ხმის უფლებით უნდა ესწრებოდენ ქალებიცა; აგრეთვე ახალი სავაჭროების გახსნა სოფლებში უნდა მოხდეს მცხოვრებლების ნებართვით და ქალების თანადასწრებით, 3) ქარხნების მუშებს ნება მიეცესთ იშუამდგომლონ ღვინის სარდაფების დაკეტვის შესახებ, ქარხნებზე ერთის ვერსის მანძილზე მოშორებით.

დაბოლოს სახელმწიფო სათათბირომაც წარმოსთქვა თვისი მსჯავრი ალკოგოლიზმის შესახებ, თუმც არა ისეთი კილოთი, როგორც ორი წლის წინათ. აი მისი ფორმულა: 1) თვალყური უნდა ედევნოს საიდუმლოთ ღვინის გაყიდვას და მიღებულ იქმნეს ნამდვილი ზომები მისი ჩუმად გაყიდვის წინააღმდეგ 2) დაკმაყოფილებულ უნდა იქმნეს ყველა ლოთობის წინააღმდეგ დადგენილი განაჩენები საზოგადოების ყრილობებისაგან, საქალაქო საბჭოებისა, ერობისა და მუშათა ორგანიზაციისაგან.

**სამთვრალე ქალაქისა და სოფელში.** ქალაქები ხომ სავსეა სამიკიტო და მავარი სასმელების სახლებით. თითქმის ყოველს დღეს და განსაკუთრებით კვირა-უქმე დღეებში „ძმა ბიჭები“ და „ლოთი-ფოთეები“ თავს იყრიან ამისთანა სახლებში და დაბოლოს იწყება ბოთლების რახარუხი. ღვინოში ჩარეულია ათასნაირი საწამლავები, რომ დროით წააქიოს მსხვერპლი, თავრეტ დასხმული. ერთი კვირის შრომით აღებული ფული აქ უნდა ჩაყაროს ლოთმა; შინ შეიძლება ცოლ-შვილს ხმელი პური და წყალიც კი ენატრებოდეს. კაცი

<sup>1</sup> იხ. „შინ. საქ.“ № 33.

ილუპება სულიან-ხორციანა, ოჯახი შიმშილის განიცდის და ასე გრძელდება სულ სანამ ბოლო არ მოეღება მსმელს და სამუდამოთ თავს არ წააგებს. ამნაირად იკარგება მუშა ოჯახისთვის, წვერი საზოგადოებისათვის და მოქალაქე სახელმწიფოსთვის! სად არის ხსნა? დუქან-სამიკიტნოს ერთი კეთილ-მსახური კაცი, ადარებს ბუზების დასახოც საწამლავ ქაღალდს. როგორც საწამლავი იტყუებს ბუზებს და ეელიტებიან ზედ, ისე სამიკიტნო თავის გამოფენილი სასმელის ბოთლებით და კარგი სანოვავით იტყუებს მუშტარს, რომელიც შედის შიგ ჭკვიანი და ფულიანი და იქიდან გამოდის ჯიბე-ცარიელი და ტვინ-გამოლაყებელი.

ახლა გადავდეთ სოფელში. სმა-ქეიფის დრო დგება ე. წ. „დღეობებზე“, ქორწილში, მიცვალებულის „გასვენებასა და მის ქელეხში“, ნათელა-წირვებში და სხვადასხვა დღეობებში. გამოანგარიშებულია, რომ დღეობებში, რაც უნდა დაღარიბებული და დაცემული სოფელი იყვეს, თეთიფლს ოჯახს სოფლად ღვინოსა, პურსა და ხორცში ეხარჯება 1—5 თუმნამდე ფულად, გარდა ცდენისა და შრომისა. მთელი სოფელი, რომ ვიანგარიშოთ, საშვალო რიცხვით ამ დღეებისათვის ხარჯავს 5000 მანეთამდე; ახლა მიცვალებულის გასვენება, ნათელა-ქორწილი და სხვა! ასე რომ წელიწადში ამ უბრალო ხარჯში გადის სოფლიდამ 10,000 მანეთამდე. რას არ გააკეთებდა მერე ამ თანხით კაცი? სასოფლო ბანკი, სასწავლებელი, აფთექა, გზები, მეურნეობის და მრეწველობის გაუმჯობესება და რამდენი რა... უკან-უკან წავა ჩვენი ხალხი, აბა წინსვლას ვინ მოესწრება! საბრალო, რაც დრო გადის წელში სწყდება, გული ელევა უსახსრობით, ხან იქით იქცევა, ხან აქეთ, და ილაჯ-გაწყვეტილი იფლობა ვალსა და ვარაში.

\*\*\*

ყველა ზემო ნათქვამიდან ჩვენ შემდეგი დასკვნა გამოგვაყვას.

ადამიანი შესდგება სულისა და ხორცისაგან. ხორცია ისეთი ნივთიერებისაგან აშენებული, რომელიც მას აძლევს სიცოცხლეს, ხო-

ლო რაც მისთვის მაზარალებელია, იგი მას ასუსტებს ჯანს უკარგავს, არღვევს და თუ მეტი მოუვიდა, სიკვდილის პირზე მიყენებს. მაშასადამე ჩვენ უნდა ვცდილობდეთ ხორცის სასარგებლოთ ჯერ, რაც მას მოუხდება, არგებს, განავითარებს, ხოლო რაც კი აზარალებს, უნდა ავაშოროთ. ერთ-ერთ მაზარალებელ ნივთიერებად დიდის ხნის გამოცდილების შემდეგ ყველასაგან მიღებულია სპირტიანი სასმელი, როგორცაა ღვინო, არაყი, ლუდი და სხვა. ამითში ურევია ალკოგოლი, რომელიც დრო-გამოშვებით ნელ-ნელა მსმელს უშხამავს სისხლსა, ჯან-საღობას უსპობს, დაავადებს—დაავად-მყოფებს და შემდეგ კიდევ ჰკლავს. თუ ხორცს ავენებს და სულს რაღა კეთილს დააყრის! ლოთი კაცის სულიერი მდგომარეობა სხვა სახეს ღებულობს. დინჯი ხასიათის მექონე, გაგიჟდება, პატიოსანი გაუნამუსდება, კეთილი გაბოროტდება, ერთი სიტყვით, თეთრი შავად გამოდის. ყოველივე სულიერი განწყობილება ირყევა, სასოწარკვეთილებას ეძლევა და ერთს დამლუპველ გზას ადგება. ჭკვიანს ასულელებს, როგორც ზემოთ ვთქვით,—და სიყვარულს სიმძულვარეთ აქცევს; ტვინს ურყევს, აყეყეგებს და ცხოველად აქცევს. ყველა ამის მიზეზი მოთხრობილი სასმელის მიღებაა. ადამიანი კიდევ იმას სცდილობს, რაც შეიძლება, მეტის მეტად გაათელვინოს თავი ამ სენს, გამხეცდეს. ამ შემთხვევაში კაცი ცხოველზე არამცოთუ მეტია; არამედ მაზე დაბლა სდგას, ერთი ბრძენის არ იყოს. ცხენს, ან ხარს წყალზე რომ მიიყვან დასალევად, თან რომ გადაყვე ზედმეტს ვერ დააღვეინებ, ლოთს კი, რაც არ უნდა იმას სვამს. საესე ტიპში რომ ღვინო ჩაასხა, რაც არ ჩაეტევა, თავზე გადავა. ასეა უზომური მსმელიც. პირში აღარ ჩასდის, სტომაქი გავსებულია, მაგრამ ის მაინც კიდევ განაგრძობს და ასხამს, რაც ძალა და ღონე აქვს, იმ უბედურ მუცელში სასმელს. კაცს თუ მეტერი შამოუჩნდა, რაც შეიძლება, არ მოასვენებს, იგი მას უკბენს, ჯერ ისე, რომ ვერც კი ვაიგებს, მერე ფარულიდან აშკარაზე გადავა, ხან იქიდან მოუდგება, ხან აქიდან, ეძებს დროს

და ადგილს, რამენაირად წააქციოს და მსხვერპლით ისარგებლოს. ასეა სპირტიც. გაუჯდება ნელ-ნელა ადამიანს ტანში, და მერე კიდევ დასცემს ძირს. ამისთანა მტერს არ უნდა უფრო თხილდებოდეს კაცი?!

გონიერი კაცი ზოგიერთს მტერს აერიდება,—სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს“, ამბობს რუსთველი; ზოგსაც შეებმის და თუ არ სძლია, ხელცარიელი მიინც არ დარჩება.

რა ეშველება ამ კაცობრიობის გამანადგურებელ სენსა, რომელიც თან და თან ფეხს იდგამს და დიდ ზიანს უქადის მას? უსაშვალო ქვეყნად არაფერია. ყველაფერს შეიძლება შესაფერისი წამალი გამოუჩინოს ადამიანმა, მაგრამ მაგარი ის არის, რომ წამლობას მაშინ აქვს მნიშვნელობა და ძალა, როდესაც ავადმყოფს გასინჯვენ კარგად, მისაგუებელ წამალს გამოუწერენ და ავადმყოფიც ღებულობს ზომით, წონით, დროით და ადგილზე ამ წამალსა.

მღვ. კ. ანთაძე.

შემდეგი იქნება.

### ხმა სოფლიდამ.

#### II

როგორც წინა წერილში მოგახსენეთ, ხალხისთვის მაგალითია საჭირო, რასაც თვალი ხედავს, იმას ბაძავს და ითვისებს. ამ ათი წლის წინეთ საჩინოში ირონიულად უყურებდნენ იმ 2—3 პირთ, რომლებიც მიწას აბრუნებდნენ და ნამყენ ვენახს რგავდნენ, დღეს კი იშვიათია ისეთი მეკვამური, რომ ნახევარი ქცევა ნამყენი ვენახი არ ქონდეს. მთელ საჩინოში შკოლის ხსენებაც არ იყო, დღეს კი მოფენილია შკოლებით. მაშასადამე ხალხისთვის საჭირო ყოფილა კარგი მაგალითის მიმცემლები! ჩვენი გულის ტკივილიც ამაში გამოიხატება, რომ ამ ჩვენ მოწყვეტილ კუთხეში კეთილი მაგალითის მიმცემლები ასობით არ მოიპოვებინ.

მაკვირვებენ ზოგიერთი საშუალო განათლება-მიღებული მამები: სანამ „ბლუხატურერკოსნები“ იყვნენ, დიდი იმედებით გვებაქიბუქებოდნენ და რაკი „გაანაფოროსდენ“ თავიანთ „მე“-ს ვერ გასცილებინ, კაცი თუ თავისთვის

არ ვარგა, რა თქმა უნდა, არც სხვისთვის იქნება გამოსადეგი; მაგრამ არც ისაა მოსაწონი, ერთის კეთილ-დღეობა ათასის უკეთილ-დღეობაზე იყოს დამყარებული და იმათ ჭირვარამზე გული არ შესტკიოდეს! „მუშაკი ღირს არს სასყიდლისა“ და არა მკონარე, მაგრამ მუშაკობა იმაში კი არ გამოიხატება, რომ მარტო თავისი ოფიციალური მოვალეობა შეასრულოს ვინმემ. არა, ყოველ ოფიციალურ მოვალეობას, სარჩულად უნდა ედგას, არა მარტო იმ უწყების, სარგებლობა, რომელსაც ეკუთნის მოსამსახურე პირი, არამედ იმათიც, ვისთვისაც ამა თუ იმ უწყებას ის დაუნიშნავს. ამას ბევრი განმარტება არ უნდა, რომ ღვედელი უნდა იყოს ყოველი კეთილი მაგალითის მიმცემი სამწყსოსისა და ეს უფრო მოეთხოვება ჩვენ „ნასწავლ“ „სემენარისტ“ მამებს! მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ეს დალოცვილები (ყველაზე არ ვამბობთ) შორიდან ბრწყინავენ და ახლოს რომ მიხედავთ „ფუტუროსავით“ ჰქრებიან.

ხალხიდან მიღებული ხალხსვე უნდა დაუბრუნო სარგებლით და, რა შეხედავს ასეთ ერთგულებას, შეიყვარებს და საყვარელ კაცს პატივისცემასაც გაუორკეცებს. თუ მოძღვარსა და მის სამწყსოს შუა მამაშვილური ქრისტიანული სიყვარული არ სუფევს და მხოლოდ ოფიციალურად არიან ერთმანეთთან დამოკიდებული, იქ სიკეთე არ დამყარდება. სამწუხაროდ ეს ხშირი მოვლენაა ამ ჩვენ დროში და არა მარტო ამ ჩაკეტილ საჩინოში!....

თამამად შემძლია აღვიარო, რომ უკვდავი ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობისებური“ მოძღვრები ერთობ იშვიათია! დღევანდელი მოძღვარი ზრუნავს: ერთგული დამსახურებისათვის გარეგანი „ზნაკების“ მიღებას, ქორწილ-ნათვლა-დამარხვის, კვირა-უქმეებში წირვა-ლოცვის წესების აღსრულებას და ხაზინიდან დრამა-ჯამაგირის აღებას, და მათი უპირველესი დანიშნულება სამწყსოს ქრისტიანული დამწყსვა კი მათთვის უკანასკნელი ნუშერია.

მღვდელი ხალხისთვის, თუ ხალხი მღვდლისათვის? საუმჯობესო იქნება, რომ მღვდელი ხალხისათვის იყოს, მაშინ ხალხიც მღვდლის აქნება!

მღვდელი თუ მარტო ვაქრული ინტერესებით იქნება გამსჭვალული და სამწყსოს ისე უყურებს, როგორც საპარსავ ცხვრებს, რა თქმა უნდა, იქ სიყვარულის ნაცვლად მძულვარება დაინერგება და ასეთ მღვდელს, რა გავლენა ექნება ხალხში.. რა გავლენა ექნება ისეთ მღვდელს, რომელიც წლიდამ—წლამდის, მარტო ერთხელ გაზებირებულ კვერქებს გაიძახის (იმასაც სიჩქარით, თითქოს მისდევს ვინმე) და უბრალო საუბარსაც არ გაუწავს სამწყსოს რელიგიურ ზნეობრივად გამაღვიძებელს. რამ უნდა მიიზიდოს ხალხი ეკლესიაში, როდესაც იქიდან არ ისმის არც მღვდლის ცოცხალი სიტყვა და არც გალობა?..

როგორი მაგალითი უნდა მისცეს სამწყსოს ისეთმა მღვდელმა, რომელიც 10 მანათს 5—6 შაურის სარგებლით ასესხებს თვეში და, თუ მოახერხა, არც ათი შაურის აღებას დაუმლის ვეცხლის მოყვარეობით გამსჭვალული გული? ამ გზით მან ორ-ორ სართულიან სახლები შეიძინა ქუთაისში. არ იფიქროთ, რომ ან კერძო, ან ბანკის ვალი ჰქონდეს ამ სუბიექტს? ან და მამა-პაპის სეული რამე? შვილებიც ბლომათა ჰყავს. ამასაც ცოცხათ ნუ ჩაუთვლით, მაგრამ სხვა მაგის ავ-კარგს „ქვანიც დალადებენ“. ხოლო გამომჩხრეკელნი სიმართლისანი, ყოველ მაზედ მრავალ გზის აღძრულ საჩივრებზე, როგორც დალადებენ ბოროტი ენები, „სდუმან მისგან უხვად გაცემულ ქრთამის მეოხებით. ნუ თუ ორასი კომლი კაცი, თავმოებურებული მისი უმგვანო საქციელით, სტყუების და ის კი მართალია? ასეა თუ ისე ყოველთვის მშრალი კი გამოდის წყლიდამ“!

რა მაგალითს მიიღებს სამწყსო ისეთი მღვდლისაგან, რომელიც ბანკის თამაშობაში და თოფით ნადირობაში ატარებს დროს?

რა პატივისცემა უნდა დაიმსახუროს ისეთმა მღვდელმა, რომელიც შეისწრეს სამარცხიწო საქციელში და რომ არ გაამელაუნონ 500 მანეთს ხარჯავს?

რა უნდა დაიმსახუროს ისეთმა პირმა, რომელსაც ჯვარი და ქუდი დაატოვებინეს იქ

სადაც რაღაც სიგლახეში შეისწრეს? და დღეს იმავე ხალხს მწყისს.

რა გავლენას იქონიებს ისეთი მღვდელი, რომელიც ქუთაისიდან წამოსრული საჩინოდის ოცჯერ მაინც გადმოვარდება ცხენიდან ყურძნის წვენი გემოვნებით გონებამიხილი. და ეს ერთხელ კი არა, მრავალ გზის?!

რა გავლენას იქონიებს ისეთი მღვდელი, რომლის **ას თქმულში**, ერთი მართალიც საექმოა?

რა გავლენას იქონიებს ისეთი მღვდელი, რომლის წაკითხულიდამ ას სიტყვაში ერთსაც ვერ მიუხვდები რას ბუტბუტებს? თან შედავითნე მოხუცებულობით ყრუ, მას მღვდლის არა ესმის რა, მღვდელსაც მისი და ორივესი—ხალხსა! 10—20 წლ. ადრე პენსიები ერგებოდათ, მაგრამ საკურთხ-აღაპები აჩერებენ!

და რამდენი ჩამოვთვალა ასეთი არა საქებარი მაგალითები ამ ჩვენი შვიწყებული კუთხის შესახებ. რაც ესთქვი, ისიც კმარა. ვიცი, ესეც ბევრ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს, მაგრამ რა ვქნა, სიმართლე ყველას ერთნაირად სჩველეთს.

Z

### მოწყობილი ამბავი.

#### ძველი ათონი.

კარგი ხანია, რაც ივეროს მონასტერში ქართული ხმა აღარ ისმის, თუმცაღა ამის მიზეზი ჩვენ ვართ, ხოლო წრეულს ტაძრის დღესასწაული 15 აგვისტოს მშვენიერად იღლესასწაულეს. მწირველი იყო მღვდელმთავარი კრებულის, ღამის თვეა გაგრძელდა 15 საათს წირვითურთ, თანამწირველად იყო იოანე ლეთისმეტყველის ქართველთა სავანის მღვდელმონაზონი გიორგი, რომელსაც ასამაღლებელი ქართულად ათქმევინეს. დიდმა სიხარულმა მოგვიცვა ათონის ქართველები! ღმერთმა კეთილი ყოს და ჩვენი წარმატების წინამორბედი ქნას ეს შემთხვევა. ჩვენ შორის ორბუნებოვანებს არ ესიაზოვნა ეს შემთხვევა. წირვის შემდეგ ყოვლადსამღვდელო ევგენიოსმა და მონასტრის წარმომადგენელმა მდივანთუხუცესმა, მ. იოაკიმემ და იერუსალიმის ჯვარის მონასტრის არხიმანდრიტმა კირილემ სხვათა საპატიოთა პირ-

თა თანა ინებეს ხანგრძლივი ლაპარაკი ივერიის შესახებ და მათი მამების მოღვაწეობისა და მრავალი სასიამოვნო ამბავი ითქვა. <sup>1)</sup>

მღვდელმონაზონი გიორგი.

<sup>1)</sup> კარგი იყო ავტორს ისიც შეეტყობინებია თუ რა სასიამოვნო ამბავი ითქვა. რედ.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მხედლიძე**.  
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

**გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა .**

ამ ეპოდ **ძმობის შკაფში** ბ. ი. კვიციანიძის ჟურნალ-გეხეთების კანტორაში იმეკონება შემდეგი სარწმუნოებრივ შინაარსის წიგნები და წიგნაკები:

- 1) მხედრული სახარება სამოციქულოთი და დავითნით დიდი და პატარა ფორმატისა.
- 2) საგალობლები.
- 3) სიბრძნე ბალავარისა.
- 4) ცხოვრება წმ. საკვირველ-მოქმედისა ნიკოლოზისა.
- 5) ცხოვრება წმ. მცხ. თეკლასი.
- 6) ცხოვრება ღირსისა მამისა ილარიონ ქართველისა.
- 7) — ღირსისა მამისა მაკარი ეგვიპტელისა.
- 8) — ღირსისა დედისა თეოდორასი.
- 9) — წმ. უვეცხო მკურნალისა პანტელეიმონისა.
- 10) ცხოვრება დიდისა მოწამისა ევსტათისი.
- 11) წამება წმ. მიქელ ტრიმიდატელისა.
- 12) ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა.
- 13) ხორციელად დაფლვა ქრისტესი და შთავლავა ჯოჯოხეთში.
- 14) ცხოვრება თედორე ჯვარ-მტირთველისა.
- 15) — ისე წილწველ ეპისკოპოსისა.
- 16) მანანა
- 17) ცხოვრება წმ. ევსელნისა.
- 18) ცოდქმრობა.
- 19) ფილოსოფოსი სოკრატი.
- 20) ცხოვრება წმ. მოწ. თეოდორე ტირონისა.
- 21) წამება წმ. მარინესი.
- 22) ცხოვრება წმ. იაკობ დაჭრილისა.
- 23) ცხოვრება ალექსი ოეთის კაცისა.

- 24) — თხუზულემა მაქსიმე აღმსარებელისა.
- 25) — ბრძნული სიტყვები.
- 26) — წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი.
- 27) წამება წმ. რაქდენისა.
- 28) ოქროს წყარო.
- 29) რჩეული სიტყვები.
- 30) ცხოვრება წმ. მარიამ ეგვიპტელისა.
- 31) პარაკლისი დავით გარესჯელისა.
- 32) ცხოვრება წმ. მამისა დავით გარესჯელისა.
- 33) ფაბიოლა, ანუ უწინდელი ქრისტიანები.
- 34) ნოტების სახელმძღვანელო.
- 35) კარგი ყველგან კარგია.
- 36) ენის გაჩენა.
- 37) მესამე ოქრო.
- 38) ბუნება და ადამიანი.
- 39) ქრისტიანობა და დემოკრატია.
- 40) ერთი ლამე აკალდამაში.
- 41) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია.
- 42) გზა ცხოვრებისა.
- 43) კაიაფას ვაფიშვილი.
- 44) პროფ. მაქს მიულლერის ახრი მატერიალიზმზე.
- 45) სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში.
- 46) ქრისტე ღმერთია?
- 47) ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში.
- 48) წყარო ურწმუნოებისა.
- 49) მოკლე საეკლესიო ისტორია.
- 50) სამი მცნება.
- 51) მოხსენება პროფ. ცაგარელისა საქართ. ეკ. ავტოკეფალიის შესახებ.
- 52) აკაკი როგორც მგოსანი მამულიშვილი.
- 53) არა კაც კლა.
- 54) პატარა ქრისტიანი.
- 55) წმ. ნინოს დღეობა და მისი მნიშვნელობა.
- 56) ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე.
- 57) სოკვდილი მართლისა.
- 58) სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა.
- 59) მოთხრობა შობისათვის უფლისა ჩვენისა ი. ქრისტესა.
- 60) მეზალე ფოკა.
- 61) პატარა ქრისტიანი ანუ საქროა თუ არა ეკლესიაში ვიარებოდეთ?
- 62) წამება წმიდისა მღმწ. ვლასისა.